№ 11 იანვარი 16, სამშაბათი 1890 იანვარი 16, სამშაბათი 11 №

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

„ივერია“

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვი-ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთაშორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ქართული თეატრი
სამშაბათს, 16 იანვარს,
ბენეფისა
ქნ. ბ. ავალიშვილისა.
წარმოდგენილი იქნება

ორი ობოლი

ტრაგედია 5 მოქმედ. და 8 სურათ.
თარგ. ა. ცაგარლისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, ავალიშვილისა, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, თამაროვისა; ბ-ნნი მესხი, სვიმონიძე, გუნია, ხუციშვილი, გედევანოვი, ცაგარელი, შათირიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

889

ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად
თხზულება
ა. ი. სუმბათაშვილისა
თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

კვირას, 21 იანვარს,
ტფილისის სობრანიაში
გამართული იქნება
სალიტერატურო და სამუსიკო

საღამო

«წერა-კითხვის საზოგადოების» სასარგებლოდ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ზავრუდნაია, უნტილოვისა და ბ-ნნი: იპპოლიტოვ-ივანოვი, კესნერი, კოლხინი, სარაჯოვი, კ. მესხი, თ. კ. თუმანოვი, ტხორჟევსკი, ქართული ხორო რატილის ლოტბარობით და სხვ.

შემდეგ იქნება

ტანცები.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთები ისყიდება „სობრანიის“ შვეიცართან.

ახალი ამბავი

⁂ 14 იანვარს, წმ. ნინოობა დღეს, სიონის ტაძარში, როგორც მოხსენებული იყო ჩვენს გაზეთში, წირვა და პარაკლისი გადახდილ იქმნა ეპისკოპოსის ალექსანდრეს მიერ სამღვდელოთა კრებულის თანამწირველობით. წირვაზე გალობდა ბ-ნ ალნიაშვილის ხორო, მაგრამ ხოროს ეტყობოდა, რომ მომზადებული არ იყო არქიელის წირვისათვის და ზოგიერთი საგალობელი ძალიან სუსტად იგალობა. ხალხი დიდ-ძალი დაესწრო წირვას: იმოდენა ტაძარში ტევა აღარ იყო. პარაკლისის გადახდის დროს მცირეოდენი სკანდალიც მოხდა: შეამჩნიეს ჯიბის ოსტატი, შეიპყრეს და პოლიციელებმა შესაფერი გზა უჩვენეს. წირვის გამოსვლის შემდეგ ხალხი დიდხანს დარჩა ეკკლესიაში და სათითაოდ მოდიოდა წმინდა ნინოს ხატისა და ვაზის ჯვრის სამთხვევად. ამ ჯვარს ვაზისას, წმ. ნინოს თმით შეკრულს, მხოლოდ 14 იანვარს დაასვენებენ ხოლმე შუა ტაძარში და მლოცველთ მარტო ამ დღეს შეუძლიანთ ემთხვიონ ამ საერო სიწმინდეს.

⁂ ჩვენ მოგვივიდა ბ ნ თავართქილაძის მიერ დაბეჭდილი წიგნი „ძმა ძმის მტერი“, რუსულით გადმოთარგმნილი ბ-ნ ა. წითლაძის მიერ. ქართული ენა ამ თარგმანისა წმინდა ვერ არის. წიგნში ხშირია ამისთანა ქართულები: მიკელამაც(?) შეექცა კერვას... სულ აქ ხომ არ ვიჯდომები(?)... მახლობას სამრეკლოზედ დაჰკრეს (რა დაჰკრეს, ვის დაჰკრეს?)... განცხადებებს(?) აკრავდნენ... რაღაც მოსაზრებაში შეჩერდა (მოსაზრებაში შეჩერდა რა არის?). წიგნში სულ 52 გვერდია მცირე ზომისა და ფასად ორი შაური აძევს.

⁂ დღეს, 16 იანვარს, საღამოს 7½ საათზე, დანიშნულია კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა მორიგი კრება. ამ კრებაზედ წაიკითხავენ თავიანთ მოხსენებას ბ-ნი ლიუბიმოვი და სკლოტოვსკი. უფრო საყურადღებო უნდა იყოს არა-მკურნალთათვის ამ უკანასკნელის მოხსენება: Къ вопросу о распространеніи холеры.

⁂ ოლქის სასამართლოს განყოფილება სისხლის სამართლის საქმეების განსახილველად წავა გორში 22 იანვარს და დარჩება 30 იანვრამდე, თებერვლის 14—24-მდე ახალქალაქსა და ახალციხეში, მარტის 5—24 თელავსა, სიღნაღსა და ზაქათალაში, აპრილის 16—25-მდე შულავერში, მაისის 24 ივნისის 11-მდე დუშეთსა და თიანეთში. სააპელაციო საქმეთა განსახილველად: შულავერში 17 აპრილიდამ 26-მდე, გორში 10—27 აპრილამდე, თელავსა და სიღნაღში მაისის 1—30 მდე, დუშეთსა და თიანეთში ივნისის 26-დგან ივლისის 13-მდე; გამიჯვნის საქმეთა განყოფილება 16 თებერვლიდამ 23 თებერვლამდე დუშეთს წავა.

⁂ იუსტიციის სამინისტროს განზრახვა აქვს მიუმატოს ტფილ. სამოსამ. პალატას ორი წევრი, ტფ. ოლქის სასამართლოს—ერთი ამხანაგი თავმჯდომარისა და ორი წევრი, ერევნისას—სამი წევრი, ქუთაისისას—ერთი ამხანაგი თავმჯდომარისა და სამი წევრი, განჯისასა და ბაქოსას—თითო წევრი.

⁂ **ხორგა** (ზუგდიდის მაზრა): წრევანდელი წელიწადი ვერაფერი წელიწადი იყო ჩვენთვის. სიმინდს ვაჭარი არა ჰყავდა. თუ გავყიდეთ რამე, ისიც ძლიერ იაფადად გავყიდეთ, თითქმის ნახევარ ფასად. ხილს ვყიდდით ბევრს, მაგრამ წელს ხილი ჩვენში თითქმის სულ არ იყო. ადგილ-მამულების სივიწროვებმაც, ცოტა არ იყოს, შევვაწუხა. ხალხი გამრავლდა და ადგილ-მამულები-კი აღარ გვემა-

---

ფელეტონი

ფშაური ლექსები

(შეკრებილი ს. ხოშარაში)

გალმითიით ჩამოვესახლე,
მე ვარ ქანქლაძე ბერია;
გვერდით მიბრუნავს წისქვილი,
თორმეტის კოდის მფქველია;
თორმეტ შვილი მყავ ვაჟკაცი,
სუ ომში შასასვლელია;
თორმეტი შვილის ცოლი მყავ,
აკავან-მისადგმელია;
თორმეტ უღელა ხარი მყავ
გუთანში შასაბმელია;
სამოც ფური მყავ, ფურ-ბერწი,
სუ ტაგან *) მისადგმელია;
სამოც ცხენი მყავ ფაშატი
უნაგირ-დასადგმელია;
ათასი სული ცხვარი მყავ,
თან მააქვ მთა და ველია!
მე ქრისტე-ღმერთი მესტუმრა,
მჭადით ვარ მასპინძელია;
სუყველა ერთ დღეს გამიწყდა,
მაგაზე რაღა ძნელია?
ემაგის მამხილებელო,
გულო, შენ რაღას ელია?!
ჩავარდი ჯოჯოხეთშია,
შაგჭამს მწივანი გველია!
(გონჯილაშ პეტრე)

**

ჩამაიარა სიკვდილმა,
არავინ დაჰხედა შინაო;
გამეკება ობოლი,
სუფრა მაართვა წინაო:
— მე წამიყვანე, სიკვდილო,
ობლობა მამეწყინაო!
— ვერას წაგიყვან, ობოლო,
შენი დამტირე ვინაო?
არცა გაქვ სუდარ-სამარხი,
სანთელ-საკმელი შინაო!
(გობილოურთ ალექსი)

◆◆

სამეურნეო იარაღებისა და მაშინების განყოფილება 1889 წლის კავკასიის გამოფენისა.

(შემდეგი *)

ადგილობრივ აშენებულ კოლონისტებურსა და ნოვოროსიულ გუთნებ შორის პირველობა დაიმსახურეს ბოლდანოვისა და ტრეტიაკოვის გუთნებმა. ორივ გუთანი ნამდვილი კოპიო იყო გენეს გუთნისა, ნიშნით H. ვ. ნახმარები ხისა და რკინის მასალა ჩინებული იყო და ყველა ნაწილებიც ოსტატურად ასხმული. ექვს-ექვსის უღელის ცხენით ეს გუთნები ჰხნავდნენ 4 გოჯის სიღრმეზე და 8½ გოჯის სიგანეზე. ნაფთევი კარგად გადაჰქონდათ და კვალსაც საუცხოვოდ ასუფთავებდნენ. ტრეტიაკოვის გუთანი უფრო კარგადა ჰხნავდა და მოსაწონი იყო უფრო მით, რომ ფთის გადასანაცვლებელი მომართულობა ჰქონდა და სხვა ნაწილებშიაც ორიოდ მცირე განკარგება. ამ მხრით ეს გუთანი ბოლდანოვის გუთანზე მაღლა სდგას.

მეტის-მეტი უსამართლობა იქნება, რომ რაიმე ურიგო ვსთქვათ ამ გუთნების შესახებ, მაგრამ ვერც მათს სიკეთეს დავაყენებთ ისე მაღლა, რომ გამოცხადებული ფასი 50 მ. და 55 მ. ზომიერად დავსახოთ. თითონ გენე, რომლის გუთნის კოპიოებია ეს ორივ გუთანი, ამ გვარსავე გუთანს ქალაქში ჰყიდის 35 მ. მხოლოდ ეს კია, რომ ხის მასალა ამ ორივ გუთნისა უფრო მსხვილია, ვიდრე გენეს გუთნისა და, რასაკვირველია, უფრო გამძლეც იქნება.

დანარჩენმა ადგილობრივ გაკეთებულმა გუთნებმა სრულიად არ ივარგეს. რენკეისტის გუთანი პირველსავე კვალში გატყდა. ძველი ნადუღი რკინა ჰქონდა ნახმარები. დევის გუთანი, აგრეთვე ლეიხტისა, ელისავეტოპოლისა და ზაქათლის სკოლების გუთნები იმდენად ცუდად ჰხნავდნენ, რომ მათი ხვნა მიწის ჩიჩქნა იყო და არა ხვნა.

საოცრად დაგვრჩა ამ სკოლების საქმე. იმათი გარემოება თუ ისეა დაყენებული, რომ შეგირდებს გუთნებსა და სამეურნეო მაშინებს აკეთებინებენ, რატომ ისინი, ვისიც ჯერ არს, არა ჰფიქრობენ უკეთესად დახელოვნებული ოსტატები უშოვნონ სკოლას და ისეთი სამარცხვინო გუთნები და სანიავებელი მაშინები არ გამოიტანონ თავიანთის სახელოსნოებიდამ, რომლებითაც ამ გამოფენაზე იმათ ესოდენ თავი იჩინეს! არ შეგვეძლიან წინამძღვარიანთ-სკოლის მმართველებსაც იგივე არ ვურჩიოთ. სკოლის მიერ გამოფენილი სალეწის მაშინის ნაწილების ხის მოდელები, გაკეთებული შეგირდებისაგან, ვნახეთ და თამამად ვამბობთ, რომ არც ერთი მოდელი არ იყო სწორედ გაკეთებული და ამ მიზეზით თვით სალეწიც ძალიან კოჭლობდა. იქ მყოფმა ხელოსანმა ოსტატმა ბოდიში იმითი მოიხადა, რომ ეს საქმე ჯერ კიდევ ახლად დაწყებულიაო. შეიძლება, მაგრამ მაინც ურიგო არ იქნება ამისთანა ძნელს საქმეს მეტის ყურადღებით მოეკიდნენ. რასაც შეგირდებს ასწავლიან, ისე ზედ-მიწევნით მაინც უნდა ასწავლონ, რომ თავიანთი ცოდნა შემდეგ საქმეშიაც გამოიყენონ. სამეურნეო მაშინებისა და იარაღების კეთება სათამაშოების კეთება როდია, რომ გაკეთებული ნივთი მხოლოდ გარეგნობით მიაგავდეს რასმეს.

შესახებ რენკეისტის გუთნის ასხმულობისა ვერას ვიტყვით, რადგან, როგორც ზემოდაც ვსთქვით, იგი პირველსავე ბელტის მოჭრაზე გატყდა და იმის მუშაობის ნახვის მონატრულები დავრჩით. ამას ვამბობთ იმიტომ, რომ, როგორცა სჩანს, რენკეისტის ქარხანას განუზრახავს გუთნების კეთებასაც შეუდგეს. თუ ეს მართალია, გვმართებს გულითადის სიამოვნებით მივეგებნეთ ამ დაწყობილებას და ამასთან არ შეგვეძლიან რენკეისტს არ ვურჩიოთ, გუთნებისათვის, რაც შეიძლება, თავი მასალა იხმაროს და სწორე აწყობაზედაც ყურადღება იქონიოს.

თავ. თომა ციციშვილის მიერ გადაკეთებული ეკკერტის გუთანი ურიგოდ არა ხნავდა. ამისი თავი და თავი გადაკეთება ის არის, რომ ფრთა ისეთისავე სიგანისა და სიგძისა ჰქონდა გაკეთებული, როგორც ქართულ გუთანს. ამ მიზეზით იგი ქართულს გუთნისებურად ალმაცერად ხნავდა. აქედამ სჩანს, რომ რაიცა ჩვენ ქართულ გუთნის დიდ ნაკლულევანებად აღვნიშნეთ, ის ეკკერტის გუთანს ნაძალადევად მინიჭებული ჰქონდა. რასაკვირველია, პატივცემულს თავადს ამ გადაკეთებით მხოლოდ ის განზრახვა ექნებოდა, რომ იქნება ჩვენს გლეხკაცობას, ქართულ გუთნით ალმაცერად ხვნას ჩვეულს, უცხოეთის გუთანი როგორმე მოეწონოსო. აგრეთვე ამავე წადილს უნდა მიეწეროს დანარჩენი ცვლილებანიც, რომელნიც არავითარ განკარგების ნიშანს არა სძენენ ეკკერტის ისეც ჩინებულს გუთანს, მაგალითად მკლავების სიგრძის მომატება და შოლტასი. გუთნის მკლავები რომ ისე შეეკრა თავ. ციციშვილს, როგორც ქართულს გუთანშია, და ასე უხერხულად არ დაეგრძელებინა, იქნება უფრო მოსაწონი ყოფილიყო. შოლტას მნიშვნელობა-კი ქართულს გუთანზე ორ გვარია. პირველი ისა, რომ რაკი ქართულ გუ-

---

*) ტაგანი—ხის საწველელია.

*) იხ. „ივერია“ № 10.

ტება. ჩვენს სოფელში 800 კომლამდეა მოსახლე. ვყიდით ხეს, ფიცარს, ყავარს, ხის სახლებს, მაგრამ წელს არც ამ მხრით დაგვიდგა დარი: ალებ-მიცემა შეჩერებული იყო. ვენახს მაგრე რიგად ჩვენ არ მივდევთ. ვინც-კი ვენახს ყური უგდო, „იზაბელა“ ძალიან მოვიდა. ღვინო ხეირს მისცემდა ჩვენს ხალხს, რომ ყურადღებით მოჰკიდებოდნენ ამ საქმეს. ჩვენი ორკლასიანი სკოლა წელს რიგიანად მოქმედებდა. ავადმყოფობანი ხშირი იყო: ქაობიანის ადგილ-მდებარეობას თავისი მოაქვს და ხორგა ციებ-ცხელების ბუდეა.

⁂ გაზ. „Нов. Об.“-ე ამბობს, რომ მთაწმინდაში ყელის ტკივილია გავრცელებული ყმაწვილებისა.

◆◆

წერილი რედაქციის მიმართ

თქვენის პატივცემულ გაზეთის შემწეობით ნება გვიბოძეთ შევეხოთ ბ-ნ შუბნელის („ივერია„ № 247) და ბ-ნ დ. ხ. („ივერია“ № 270) წერილებს. ბ-ნი შუბნელი, როგორც სჩანს იმის წერილიდამ, უფრო დაახლოვებით იცნობს საზოგადოდ სოფლელების ცხოვრებას და კერძოდ სოფლის მასწავლებლებისას, რის გამოც სამართლიანად თხოულობდა, რომ ჩვენს სასოფლო სკოლებში იგზავნებოდეს საყმაწვილო საკითხავი წიგნები, რათა ყმაწვილებმა, რაკი სკოლიდგან გავლენ, კიდევ იქონიონ სკოლასთან ცოტაოდენი კავშირი, ამ წიგნების კითხვით ნასწავლი არ დაივიწყონ და ცოტად თუ ბევრად თვით განვითარდნენ. უნდა იგზავნებოდეს წიგნები თვით მასწავლებელთათვისაც სხვა-და-სხვა ცნობის ამოსაკრებადაო. წიგნებიდამ იგი შეიტყობსო, თუ რომელიმე კეთილ-მოღვაწე კაცი როგორ შრომობდა და მოღვაწეობდა ხალხის სასარგებლოდ, გაიგებს, რა ხასიათის სიმტკიცეა საჭირო, როგორ და რა რიგად უნდა დაუახლოვდეს სოფლელს ხალხს, რა და როგორი ცნობები გაუზიაროს, რომ ხალხსაც არგოს რამე და თითონაც, შუბნელის თქმისაებრ, უკან-უკან არ დაიწიოს, სწავლების წესი არ დაუძველდეს, გონებით ძირს არ ჩამოხდეს, არ დაწვრილმანდეს და არ დახურდავდეს ცხოვრების გავლენის გამო და ადრინდელი ხალისი და სიყვარული თავისის საქმისა არ გაუგრილდესო. ასეთი აზრი ბ-ნ შუბნელისა ჩვენ საბუთიანი გვეგონა, მაგრამ ბ-ნი დ. ხ. სრულებით სხვა რიგად სჯის და თითქოს ამტყუნებს კიდეც შუბნელს: „ერთი მითხარით, რომელის წიგნის კითხვა სჯობია ხალხის ცხოვრების დაკვირვებასაო?“ დიახ, ბატონო, ხალხის ცხოვრების დაკვირვება, იმის ავისა და კარგის გაგება, იმის დარდისა და ვარამის შეტყობა კარგია და სასახელოც, მხოლოდ როცა დამკვირვებელი და შემსწავლელი თითონაც თავ-ცარიელი ბრძანდება და არ იცის, როგორ უშველოს ამ ხალხის ვარამს, ან, რაც ხალხის ცხოვრებიდამ შეისწავლა, როგორ გამოიყენოს, მაშინ ის ბევრს ვერაფერს გაარიგებს. ვინ არ იცის, რომ ყველა ჩვენგანი სასწავლებლიდგან გამოსვლის შემდეგ ბევრს ისეთს სწავლასა და გამოცდილებას იძენს რიგიანის წიგნების კითხვით, რომლის ნასახიც არა ყოფილა სასწავლებელში? სოფლის მასწავლებლები როდი ვართ პროფესორები, რომ სასწავლებლიდგან ყველაფერი მივიღოთ და მხოლოდ გარჯა-ღა იყოს საჭირო. ბ-ნი დ. ხ. განაგრძობს: „რამდენჯერ მინახავს ამისთანა სურათი... მასწავლებელი ყველასთან მივა, ყველას დაუწყებს ლაპარაკს და გლეხ-კაცებში-კი არ ჩაჯდება, მაშინ როდესაც მხოლოდ აქ უნდა იყოს მარადის...“ გლეხ-კაცების საჩივარი, თუ ცოტათი მაინც მოეხსენება ბ-ნს დ. ხ., დღეს ეს არის: მავან მამასახლისმა ამდენი და ამდენი ფული შეჭამა; მავან „სბორშჩიკმა“ ნახევარი ფოსტის ფული გადაყლაპა და მეორედ უნდა გავაწეროთო; მავან ქრივს უსამართლოდ მეტი ფული შეაწერეს; ჩვენმა მწერალმა ჩვენისავე ნაჭრთამევით ჯიბე გაიმსხვილა; მავანს კამბეჩი მოჰპარეს; მავანს... ეჰ, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ! ჩაერიე, სოფლის მასწავლებელო, ამ გვარს საქმეებში, ამხილე უვიცს ხალხს, თუ როგორ მოიქცეს და არ გაემარცვინოს მოხელეებს, და მაშინ ჰნახავ რა დღეც დაგადგება. იგივე პოლიციის მოხელე, რომლის საქმეებსაც სამართლიანად გაუხარდება ბ-ნი დ. ხ., ისეთს შემოგიჩუყოვლებს, რომ გგონებ მამაო ჩვენოც დაგავიწყოს. რას არ დაგარქმევს: «ბუნტოვშჩიკო», „სოციალისტო“, „ნიგილისტო“, და დასამთავრებს—თუ გაიგე, რომ კიდევ ჩარეულხარ სოფლის საქმეებში, დაგაპატიმრებო.

„თვალი გაახილეთ, ამოიღეთ ყურიდამ ბამბაო“, ამბობს შემდეგ ბ-ნი დ. ხ. და მიგვითითებს ლევ ტოლსტოიზე, „იმას მაინც დაუკვირდითო“, თქვე დალოცვილებო! მართლაც-და ბევრმა სოფლის მასწავლებელმა ლევ ტოლსტოი გაგონებით თუ იცის და მისი ნაწარმოებნი თვალითაც არ დაუნახავს, საიდგან დაუკვირდეს? დიაღ, კარგია ყველა მასწავლებელს სცოდნოდა, თუ ლევ ტოლსტოის და სხვა ამ გვარ მწერლებს როგორ ჰქონდათ შესწავლილი მდაბიო ხალხის ზნე-ჩვეულებანი, იმათისავე ცხოვრებიდამ როგორ სწერდნენ სამაგალითო მოთხრობებს, რომლებშიაც ახალი იდეა გაჰქონდათ, მით ცრუ-მორწმუნეობას აუქმებდნენ და რომლებსაც რუსეთის მდაბიო ხალხიც-კი გატაცებით კითხულობს, მაგრამ განა აგრე ადვილია ლევ ტოლსტოობა. ბ-ნ დ. ხ.-ს აზრით, რამდენიც ახლო იცნობს გლეხკაცობა სოფლის მასწავლებელს, იმდენი ხალისით ჰგზავნის შვილებს სასწავლებელშიო. სულაც არა, თქვენმა მზემ! შეიძლება მე, როგორც კაცი, სამაგალითო, თითით საჩვენებელი ვიყო, მხოლოდ, როგორც მასწავლებელი, ჩირადაც არა ვღირდე. სოფლის მასწავლებლის სიკარგე და სიავე თვით პატარებიდგან ეცნობება: ბავშვები გაუცნობლადაც მიხვდებიან, რა შვილიც ბძანდება. ხალხის ვითარების კვლევა-ძიება და ყმაწვილების სწავლება ერთი მეორეში ასარევი საგანი არ არის. ბ-ნ დ. ხ. აზრით, სოფლის მასწავლებელი ერთად-ერთი ასე თუ ისე განათლებული კაცია გაუნათლებელთა და უმეცართა შორის. მაშასადამე, სოფელში შველას ყველა იმისგან მოელის, ყველა მას შესჩივის და ეკითხება. ის-კი სოფელში მართლაც რომ სულით ობოლია. ვის მიჰმართოს მასწავლებელმა, თუ არ წიგნებს? რამდენჯერ მახსოვს დაღლილ-დაქანცული გამოვსულვარ კლასიდამ, როდესაც მომგონებია 100 შეთითხნილ-დაჯღაბნილი რვეული გასასწორებლად. სულით დაცემულვარ და მომსვლია აზრად მოვისროლო ეს რვეულებიც, შევაფურთხო ამ „უჩიტლობასაც“, თავი გავანებო, ან სხვა სამსახურში შევიდე, სადაც უფრო ცოტა ჯაფაა მეთქი, მაგრამ როცა წამიკითხავს ჩვენთა მოღვაწეთა სიტყვები, თუ ქართველებს როგორი მეცადინეობა გვმართებსო, კვლავ საიდგანღაც მომსვლია ძალა, მომმატებია სიმხნევე და მეორე დღეს უფრო ერთგულად შევსდგომივარ ჩემს მოვალეობას.

სოფლის მასწავლებელი ექვ. მ—ძე

◆◆

აღწერა წერა-კითხვის საზოგადოების ხელ-ნაწერთა.

№ 1274. კარაბადინი, ანუ „წიგნი საქიმოჲ“ ხუცური ხელ ნაწერი 30×21 სანტიმეტრი, დაწერილია კარგ მოსქო ქაღალდზე ლამაზი ნუსხა ხუცურის ხელით, ტექსტი ნაწერია შავის მელნით, სათაურები და ზოგიერთი ფრაზები-კი კინოვარით, პაგინაცია მიუძღვის ქვემო არშიაზე ასო მთავრულით თითოეულ 8 ფურცლის შემდეგ. ხელ-ნაწერი შეიცავს 395 ფურცელს ძველის ტექსტისას, რომლის ბოლოს მიმატებულია 13 ფურცელი და ამ ფურცლებზედ დაწერილია სხვა-და-სხვა ავადმყოფობის წამლობა და წამლების შემზადება ბოლონდელის ულამაზო ნუსხა მხედრულის ხელით. აგრეთვე ხელ ნაწერის თავში მერმე მიმატებულია 6 ფურცელი ქაღალდი, რომელზედაც განმარტებულია ის უცნობი სიტყვები, რომელნიც მოიპოვებიან ამ კარაბადინში. ეს ამ კარაბადინის ლექსიკონიც ნაწერია ბოლონდელ ულამაზო ნუსხა მხედრულ ხელით. ყდა მაგარი აქვს ხისა წითელ ტყავ-გადაკრული. ძველ-ტექსტს ბოლოში რამდენიმე ფურცელი აკლი.

დასაწყისი ძველის ტექსტისა: „ესე წიგნი საქიმოჲ, ოდეს რუქანდან სულტანი კარნუ ქალაქისა კართა ზედა გააქციეს, მუნით ალაფად მოიღეს. ქრისტეს მიერ პატრონმან ჰყონდიდელმან, მისმან მწიგნობართ უხუცესობამან (ქ̃ე მ̃რ: პ̃ტ რ̃ნი: ჰ̃ მის მ̃ნ მწიგნობართ უხ̃ცესმ̃ნ), პროტოჲ-უპერტიმოსმან და ვაზირთა ყოველთა უპირველესმან, კაცმან გონებაჲ მოზავემან, და სალუთოჲთა მსჯავრთა (მსჯ̃ერთა) მართლ-მსაჯულმან, და კელისა მპყრობელმან ულონოთა და ქვრივთამან, —ქართულად მათარგმანინა მე მიწასა მათსა ხოჯა ყოფილსა“.

აქ მოხსენებული რუქანდან, ანუ

თანს სხვა მომართულობა არა აქვს ღერძზე ღვედის ჩასაბმელად, შოლტას ქვეითა პირზედ უბმენ ღვედს, და მეორე კიდევ ისა, რომ, თუ გუთანი შორს მანძილზე წასაღებია, გუთანს ღერძზე უდებენ და შოლტაზე ამაგრებენ.

ასეა თუ ისე, თავ. თომა ციციშვილი პირველი არ არის ჩვენს მემამულეთა შორის, რომელსაც ეტყობა მცდელობა ევროპიულ გუთანს ქართულის გუთნის ხასიათი მიანიჭოს და ის უხერხულობა, რაიცა ევროპიულს გუთანს მუშაობაში ეტყობა, შეამსუბუქოს. თუ არა ვცდებით, ყოველივე ამ გვარი ცდა უშედეგოდ დაბოლოვებულა და აი რათა: ჩვენის აზრით, ჩვენში მიღებული წესი საქონლის შებმისა არის უმთავრესი მიზეზი, რომ სხვა ქვეყნის გუთანს თითქოს ვერ ვეწყობით, და არა სხვა მაღალი რაიმე ღირსება ქართულ გუთნისა. მოგეხსენებათ, ქართულის გუთნის ღერძი და ჩვენში მიღებული უღელი თითქმის ერთის სიგრძისაა და საქონელიც იმიტომ კვალში უფრო თავისუფლად დადის და აქეთ-იქით არ ეხეთქება მუშაობაში. ევროპიულის გუთნის ღერძი-კი ცხენის შებმის წესზეა მომართული და ამიტომ იგი მოკლეა და, რასაკვირველია, ამ გვარს გუთანში ჩვენებურად საქონელი იბრძვის, გუთანს ისეთი მკვიდრი მსვლელობა აღარა აქვს და ვერც ადვილად ხერხდება იმისი სწორედ დაყენება. ჩვენის ფიქრით, ამას შეიძლება ეშველოს ან იმითი, რომ შესაფერი მოკლე უღლები შემოვიღოთ განსაკუთრებით მოკლე ღერძიან გუთნებისათვის, ანუ, ვისაც შეძლება ნებას აძლევს, შეიძინოს გროზულ-ტოლსტოის შებმის მომართულობა, ან არა-და, ჩვენის გრძელის უღლების დაგვარად უნდა შევცვალოთ ღერძი და მთელი წინა მხარი ევროპიულის გუთნებისა, თუმცა, დარწმუნებული ვართ, ამ გვარი გადაკეთება ღერძისა მრავალს დაბრკოლებას შეჰხვდება და ბევრს გუთანზე სრულიად მოსახერხებელი არც-კია.

უცხოეთისა და რუსეთის ქარხნების გუთნებ შორის გვნეს გუთანს, ნიშნით H.P.$_3$ პირველსავე კვალში უკანა ხის ნაწილები დაემტვრა და ველარ იმუშავა. თუმცა რანსომის გუთანს ნიშნით HWT და იმისსავე კოპიოს, ვოტკინის ქარხნის გუთანს ნიშნით B3K$_2$ არა გაუტყდა-რა, მაგრამ ორივე ისე დაზიანდნენ, რომ ვერც იმათი მუშაობა ვნახეთ. რანსომის გუთანს საკვეთი გაუმრუდდა და ვოტკინის ქარხნისას გუთნის რკინის ხე. მთელის აგებულებით-კი, როგორც სჩანდა, ორივე ჩინებული გუთნები უნდა იყოს. რანსომის გუთანი ამ ღირსებით უკვე ცნობილია ჩვენს მეურნეობაში და არ არის იშვიათი ტფილისისა და სიღნაღის მაზრებში და სხვაგანაც. ეს გუთნები ყვითლად არის შეღებილი. ამათ რომ რელსის რკინის მაგიერ ფასონის რკინა ჰქონდეთ ნახმარები გუთნის ხედ, მაშინ დაუფასებელი იქნებოდა. როგორც პატივცემული ჩერნიაევი დაგვპირდა, ვოდკინის ქარხანა უეჭველად ეცდება ამას იქით ფასონის რკინა ახმაროსო.

მეორე რანსომის გუთანიც, ნიშნით YFRW, კარგად ცნობილია ამიერ კავკასიაში, მეტადრე სომხეთში და ყარაიაზს გავრცელდა იმ ნიშნის გუთნები და უნდა სწორედ სთქვას კაცმა, ჩინებულის მასალისაგან არის აშენებული და დიდის ხელოვნებითაც ასხმული. თუმცა ისე ღრმად არა ხნავს და არც ისე განიერად, როგორც სხვა ფირმების ნოვოროსიული გუთნები, მაგრამ არც ერთს სხვა გუთანს არ შეუძლიან იმისთანად სრულიად, თითქმის სანატრელად შემუშავება მიწისა. გამოცდის დროს იმისი ნახნავი მართლა სასიამოვნო სანახავი იყო. ება ექვსი უღელი ცხენი. სხვა-და-სხვა მიზეზის გამო ამ გუთნის პატივის-მცემლები არ არიან ჩვენში და ეს მიზეზები აი რა არის: პირველად ისა, რომ გუთანი ცოტა მძიმე გამყოლია და გუთნის-დედისაგან დიდს ჯაფას ითხოვს; მეორეც კიდევ ისა, რომ გუთანი და ღერძი ერთმანეთზეა დამაგრებული. ამ მიზეზით, კვალს რომ გაიტანთ, საქცევზედ მთელი გუთანი უნდა გადააბრუნოთ გოგრებითურთ. ფასიც 84 მან. ხომ მეტად დიდია. სხვა ქარხნისას ორ კარგს გუთანს იყიდით ამ ფასად.

ეკკერტის გუთანი, ნიშნით CB$_2$, როგორც შეჰფერის ესოდენ განთქმულ გერმანულ ქარხანას, ჩინებულის მასალისაგინ იყო აშენებული და დიდის ხელოვნებით და სისწორითაც ასხმული. ნაკლს ვერა ნაწილში ვერ უპოვიდით, თუმცა მის რეგულატორის მომართულობა ისეთი რთული არ არის, მაგრამ იმის დაყენებას მაინც კარგა ხანი მოუნდა ბერლინელი ინჟინერი, განზრახ გამოგზავნილი ეკკერტისაგან. შეიძლება კაცი კარგი ინჟინერი იყოს, მაგრამ გუთნისდედობისა კი არა ესმოდეს-რა. თუ შემდეგ გამოცდის დროს რიგზე დაიწყო ამ გუთანმა მუშაობა, ისევ გვნეს მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, ბოლოს მაინც ამან დააყენა წესზე. გვნე დიდი მცოდნე დამყენებელია გუთნებისა. ება ექვს უღელი ცხენი და ხნავდა 3¾ გოჯ. სიღრმეზე და 9 გოჯ. სიგანეზე. კვალს სუფთად აკეთებდა, მაგრამ მთელს მუშაობაში ეტყობოდა, რომ მკვიდრი მსვლელობა არა ჰქონდა, და ეს იმისი ბრალი იყო, რომ მიწა მეტად მაგარი იყო ამ გუთნისათვის. ამის დასამტკიცებლად გადავიყვანეთ იქვე, უფრო ნარბილს და ნესტიანს მიწაში და იქ მისი მუშაობა სრულიად შეიცვალა: ხნავდა მეტად კარგად და მსვლელობაც მკვიდრი მიეცა. აქედამ ის რწმენა გამოვიტანეთ, რომ ვისაც ძალიან მაგარი, ბევრის ხნის გაკორდებული და გამოკვალვილი თიხნარი მიწა აქვს სახნავად, იმას ამ გუთნის ყიდვას არ ვურჩევთ. დანარჩენ უფრო ადვილ სახნავ მიწებისათვის-კი შეუძლიან ყველას ამ გუთანს თამამად ხელი მოჰკიდოს და არც ინანებს. ეკკერტის ქარხნის სხვა გუთნებსაცა და მაშინებსაც უნდა ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ ამას იქით, რადგან აუფერმანის საწყობში უმეტესი იარაღები ეკკერტის ქარხნის ნაწარმოებია მოტანილი და აუფერმანიც თვით იმისი აგენტია. აქედამ სჩანს, ეკკერტის ფირმას განუზრახავს ჩვენს ქვეყანასთან არა მცირედი ალებ-მიცემობა დაიწყოს და, რასაკვირველია, ეცდება კიდეც ჩვენს მემამულეთა მოთხოვნილებასაც ყურადღება მიაქციოს.

შველის ნოვოროსიულ გუთანს № 3 ჰქონდა გუთნის ხე და მკლავები ხისა, აგრეთვე ღერძიც, სახნის საკვეთი დაფოლადებული. ურიგო მასალისაგან არ იყო აშენებული; მისი ტიპი გვნეს ხის გუთნისაა გადაღებული. იმისი ერთი თვალსაჩინო ნაკლულევანება ის არის, რომ მეტად გრძელი მკლავები აქვს. ხუთ უღლის ცხენით ხნავდა 3 გოჯზე სიღრმით და 7 გოჯ. სიგანით, ბელტიც სუფთად გაჰქონდა. საყურადღებოა, რომ ამას უფრო სუბუქი სახნავი შეხვდა. დანიშნული ფასი 44 მან. მეტად დიდია.

ესსენისა და მახროვსკის ინგლის-ბოლგარიული გუთანი ხნავდა ჩინებულად, თუმცა ამასაც სხვა გუთნებზე უფრო სუბუქი მიწაც შეხვდა: ამ გუთანში ება ხუთ უღელი ცხენი და ხნავდა 3 გოჯზე სიღრმით და 7½ გოჯზე სიგანით. გუთნის ხე, მკლავები და ღერძი ხისა ჰქონდა, სახნის-საკვეთი რკინისა დაფოლადებული. კარგის მასალისაგან იყო აშენებული და ფასიც შესაფერად მცირე ჰქონდა დანიშნული, სულ 30 მანეთი. მეტად მძიმე სახნავ მიწებისათვის-კი, როგორც უფრო სუსტის კონსტრუქციისანი, გამბულ მუშაობაში ვერ გასძლებენ ეს ორივე უკანასკნელნი და ვერც ხვნით მოხვნენ რიგზე. მაგალითად, იმ გვარს მიწას, როგორიც შეხვდა ქართულს გუთნებს და თითონ გვნეს გუთნებსაც.

თ. სვ. ვეზირიშვილი

(შემდეგი იქნება)

ქართლის-ცხოვრებით ნუქარდინ სულტანის დამარცხება ერთი შესამჩნევთაგანი ფაქტია თამარის დროის ისტორიისა და ამაზე ვრცლად მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება(იხ. ქ. ც-ბა გვ. 318—324). ბროსეს გამოანგარიშებით ყარსზე, ანუ კარნუ ქალაქზე გალაშქრება და ნუქარდინის დამარცხება მოხდა 1207 ანუ 1208 წელს (ნახ. ბროსეს Additions-ში გვ. 296).

ჰუნდიდლის სახელი თუმცა აქ ქარაგმით არის დაწერილი, მაგრამ უსათუოდ ამ ქარაგმაში ჰუნდიდელი უნდა წავიკითხოთ, და არა ჰიპბერი, რადგანაც ყველა ის „ეპიტეტები (მწიგნობართ-უხუცესი, ვაზირთ უპირველესი, მართლ მსაჯული და სხვა), რომელნიც აქ მოყვანილია, ეკუთვნოდა ჰუნდიდელს და არა ჰიპბერს. ჰიპბერი მხოლოდ მანდატურთ-უხუცესი იყო თამარ მეფის. ხოლო თამარის დროს ჰუნდიდელად იყო ანტონი გლონჯელი, რომელზედაც ვახუშტი ამბობს: „გარნა ქება ანტონისა არღარა მოვიხსენოთ, რამეთუ ქმნილნი მისნი სწამებენ ეკკლესია-მონასტერთა ზედა“ (იხ. ვახუშტის ისტორია, გვ. 208). ზემო ფრჩხილებში მოყვანილი ქარაგმა ასე უნდა წავიკითხოთ: „ქრისტეს მიერ პატრონი ჰუნდიდელი, ანუ ჰუნდიდელმან, მისმან მწიგნობართ-უხუცესმან“, მაგრამ ეს ჩვენ, როგორც გრამატიკული უკანონობა, მცირეოდნად შევცვალეთ. დანარჩენი ტექსტი ამ წინასიტყვაობისა სავსებით არაფერს წარმოგვიდგენს კითხვაში, რადგანაც წერა მთელი ხელნაწერისა მარტივია და ადვილად გასარჩევი. საზოგადოთ ამ წინასიტყვაობიდგან ის დასკვნა შეგვიძლიან გამოვიყვანოთ, რომ ამ კარაბადინის პირველი დედანი ნათარგმნი ყოფილა ქართულად არაბულის ენიდგან რომელიმე ხოჯა ყოფილის მიერ ანტონი ჰუნდიდელის ბძანებით თამარ დედოფლის დროს, მაგრამ ჩვენი ხელნაწერი-კი თამარის დროს არ ეკუთვნის. თუმცა არა სჩანს არც დრო გადაწერისა და არც გადამწერი, მაგრამ პალეოგრაფიული ხასიათი წერის და თვისება ქაღალდისა გვაძლევს სრულ საბუთს ვიფიქროთ, რომ ჩვენი კარაბადინი გადაწერილია არა უადრეს მე-XV—XVI საუკ.

ტექსტი კარაბადინისა გაყოფილია 219 კარად, სათაურები კარებისა მოყვანილია ტექსტში გვერდის არშიებზე. თავში, ზემო მოყვანილ შესავალის შემდეგ, ჩვენს ხელ-ნაწერს აქვს მშვენიერი სარჩევი, თუ რა ავადმყოფობა რომელ კარში მოიპოვება. ამ სარჩევიდგან სჩანს, რომ ხელ-ნაწერი უნდა შეიცავდეს 226 კარს, მაგრამ უკანასკნელი 7 კარი ბოლოში აკლია. მოგვყავს აქ რამდენიმე სათაური ამ კარებისა:

„კრებაჲ ასოურად სკა, რომელი საძებნელად და სამკურნალოსა და რაცა უნდეს ადვილად პოოს წამალნი სნეულთანი:

1) პირველი კარი აქიმობისა სწავლისა და სარგებლიანობაჲ მისი, 2) კარი აქიმობისა ნივთისა საზომისა, სწავლაჲ და გაყოფაჲ მისი, 3) კარი ბუნებისა და ტომაქისაჲ, 4) კარი გარევნაჲ ბუნებისაჲ და შეტყუებაჲ რგებისაჲ, 5) კაცისა დაბადებისა და ტანისა შეტყუებაჲ, 6) გამოჩენა ხუთთა ჰავასთა, 7) შენახვაჲ ტანისა სიმრთელისაჲ, 8) ჰაჯასისა შეტყუებისაჲ, 9) წყლისა და სილბოჲსა შეგებაჲ, 10) ბუჰრანისა და სიმრთელე ფათერაკისა, 11) ნიშანი სიმრთელისა და შიშისაჲ, 12) მომავლისა სნებისა შეტყობაჲ, 13) ქალაქთა და ჰაერთა ბუნებაჲ, 14) წელიწადისა ოთხფერად ქცევისაჲ, 15) ყოვლისა მანკისა ცოდნა, თუ რაჲსაგან იქმნების, თავის ტკივილის გამოჩენაჲ რაჲსაგან იქნების, 16) ქარტლი, რომელსა ჰრქჳან არაბულად ხაზამი და სპარსულად... 17) თავისაჲ წყლულთაჲ, რომელსა ჰქვიან არაბულად სითა, 18) თმათა დაკდისა და ბელატობისა, რომელსა ჰქვან არაბულად ასლა და მწილთა ჰირი 19) დაალჰაია და დათაბი არაბულად ვუშლთა, 20) თმისა გაპობისა, გათეთრებისა და სხვა...

ტექსტში თითქმის ყველა ავადყოფობის სახელი მოყვანილია არაბულად და ქართულად. ძრიელ ხშირად არის ნაჩვენები სხვა-და-სხვა ექიმის აზრი ერთ და იმავე ავადმყოფობაზე და მოყვანილია მათი სწავლა-მოძღვრებანი. ხშირად ვპოულობთ ფრაზებს: დევჯანის და იოჰანა იტყვან, ფოლია და დადყვ იტყვან, ბაყრატ (ჰიპოკრატი) და ჯალინოს იტყვიან (აქიმობაჲ ორი არს — ერთი მეცნიერებაჲ და მეორე მეცნიერებისაჲ კმარებაჲ), მოჰამად ზაქარიას ძე იტყვს, ისაკ (ის̃კ) იტყვს, მესიაჲ იტყვს, ჰუნან აქიმი იტყვს, თუბით ყურაჲს ძე იტყვს, მასო იაჲს ძე იტყვს, იუჰანა იტყვს, მასარჯოჲ იტყვის, მასუჲსძე იტყვს, როფის იტყვს, თიადუყ იტყვის. აქა-იქ არშიებზე სიტყვების განმარტებაა მოყვანილი ბოლონდელის მხედრულის ხელით.

გ. თ—ლი

(შემდეგი იქნება)

◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

არა ერთხელ გვქონია ჩვენს გაზეთში მოყვანილი იმის მაგალითი, რომ ქართველთა შესახებ საეტნოგრაფიო და საგეოგრაფიო სახელები ერთმანეთში დომხალივით აურევიათ და ზოგადი სახელი ქართველი საქართველოს ერთის რომელიმე ნაწილის მცხოვრებთათვის დაუსაკუთრებიათ. ასეთი უვიცობა გამოიჩინა განსაკუთრებით პენტიუხოვმა სამედიცინო საზოგადოებაში თავისის მოხსენების კითხვის დროს. აი ეხლაც ასეთივე გმირობა გამოუჩენია მეშჩერსკის გაზ. „Гражданинъ“-ში ერთს ამ გაზეთის ბრძენს თანამშრომელთაგანს, „Записная книжка“-ს მწერალს. ეს ვაჟბატონი ზემოხსენებულ გაზეთის მეოთხე ნომერში პეტერბურგში გამართულს სომხურ საღამოს შესახებ ლაპარაკობს და სხვათა შორის ამბობს:

> სომხურმა საღამომ ამ ხელადაც დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. ამ ხელადაცაო ვამბობ, რადგან დღესასწაულებამდე ერთი ამისთანა საღამოვე იქმნა გამართული, სომხური ან ქართული, ანუ საზოგადოდ „კავკასიური“, ეხლა აღარ გვახსოვს: „აღმოსავლეთის კაცს“ ძნელად გაარჩევს ადამიანი. ეს ხალხი მეტად პრაქტიკული ხალხია და ერთი ძვირფასი თვისებაც აქვთ, თუ ერთი ფული გამოიმეტეს და გაიღეს რისთვისმე, იმასაც არიან მოწადინებულნი, რომ იმხიარულონ, და მართლაც კარგადა მხიარულობენ. ამით ამ საღამოებს სხვა გასართობებთან დიდი უპირატესობა აქვს, და აი ამიტომვე დიდის სიამოვნებით ვისურვებთ, რომ ერთი ამ გვარი საღამო კიდევ გაჰმართონ: ქართული, იმერული, ლეკური, ოსური ჩერქეზულამდე გამოუკლებლივ, მხოლოდ ბაშიბუზუყური-კი არ გვინდა. ეროვნებაა კავკასიაში ბევრია და თითოეულის მათგანის პატივსაცემლად შეიძლება კახურის სმა და ქიშმიშის ჭამა.

ვგონებთ «Гражданинъ»-ს ქართველი სხვა ერი ჰგონია და იმერელი—სხვა. დავარწმუნებთ გაზეთს, რომ ქართველსა და იმერელს შორის იმდენივე განსხვავებაა, რამდენიც მოსკოველსა და იაროსლაველს, ან როსტოველს შორის.

⁂

ამ დღეებში გაზ. «Новор. Телеграфъ»-ს თხუთმეტის წლის არსებობა შეუსრულდა. ამას წინად ამ გაზეთის გამომცემელს თხუთმეტის წლის შესრულების გამო სადილი გაუმართავს და მიუპატიჟნია ყველა თანამშრომელი. რაკი ერთად მოუყრიათ თავი თანამოკალმოსნებს, მიუყვიათ ხელი ოდესელებისათვის, ესე იგი, თავისის მკითხველებისათვის, და სულ ბდღვირი აუდენიათ. აი სხვათა შორის ერთს თანამშრომელს რა უთქვამს ზოგიერთ ოდესელ შესახებ:

> განახავთ როდისმე საზღვაში აზიის ვეფხი? სანახავად ეს მხეცი მეტად მშვიდია და ლამაზიც იცის. ასეა, მაგრამ გამოცდილი მხეცთ-დამამშვიდებელი-კი ყაფაზაში უწვევლოდ არ შევა, რადგან ვეფხის ზნე კარგად იცის: გადუხრუნდება თუ არა ოდნავ ფეხი, მხეცის მჭრელს ბრჭყალებს ვერ ასცდება. დანაშაულის ჩამდენი და გაზეთში გამოაშკარავებული ოდესელიც სწორედ ამ ვეფხსა ჰგავს. ბეჭდვითი სიტყვა იმისთვის რკინის ყაფაზაა, საიდგანაც მხოლოდ ენის გამოყოფა შეუძლიან, ხოლო ყოველი რედაქტორი, რომელიც საზოგადოებრივს ინტერესებს უდგას დარაჯად, ამ მკვიდრისათვის სწორედ ის სასწაულთ-მომქმედი წკეპლაა, რომლისაც ვეფხებს ჭირისავით ეშინიანთ. მაგრამ თუ გაზეთში გამოაშკარავებულმა მკვიდრმა დრო უპოვნა და კუნთებში კბილის ჩავლება შეიძლო, დიდის სიამოვნებით ისარგებლებს ამ დროთი და ცუდს დღეს დააყენებს რედაქტორს. ისეთს ცილს დასწამებს და ბრალს დასდებს, რომ მწერალს სიზმრადაც არა ჰხმანებოდეს; იმის წინაამდეგ სასამართლოში ცრუ ჩვენებას ჩამოართმევს, ყოველს ჩვენებაზე ოცჯერ დაიფიცავს და თითოეულ ფიცის დროს ორმოცს ტყუილს იტყვის; რედაქტორის კერძო ცხოვრების შესახებ ისეთს სიცრუეს შეთითხნის, რომელიც თითონაც არა სწამს, მაგრამ რომელსაც ყველგან გაავრცელებს და ისე შეჰკაზმავს და გაალამაზებს, როგორც ორმოცი ათასი მწერალიც ვერ შეჰკაზმავდა და გაალამაზებდა.

ვერაფერი ერთობა ყოფილა, როგორც ჰხედავთ, ოდესელებსა და იქაურ მწერლებს შორის. თუ კერძოდ სადილზედ ასე გულ-გამწყრალად ლაპარაკობენ „Новор. Телеграфъ“-ის თანამშრომელნი, საჯაროდ, გაზეთშიაც, რაღა თქმა უნდა, კარგს დღეს არ დააყენებენ ოდესელებს.

◆

რუსეთი

ნათლი-ღების წინა დღეს მოსკოველმა პროფესორმა ანჟულმა წაიკითხა პეტერბურგში ლექცია ვგონებთ „სალიტერატურო ფონდისათვის“ კაცთ-მოყვარეობის გრძნობის გაძლიერების თაობაზე ინგლისში—„О гуманитарномъ движеніи въ Англіи“. ლექციის შინაარსი მოკლედ ასეთია: ამ შვიდიოდე-რვა წლის წინად ერთმა რომანის მწერალმა დასწერა რომანი ინგლისში და ინატრა, რომ სასურველია ისეთი დაწესებულება ღარიბ ლონდონელთათვის, საცა იმათ უმრავლესობას შეეძლოს გართობა, გონიერული დროს გატარება, სწავლა-ცოდნის შეძენა და სხ. ეს აზრი მეტად მოეწონა ინგლისის პოეტს ედმუნდ კერრის და ყოველის ღონისძიებით ეცადა განეხორციელებინა ნატვრა რომანისტისა. პოეტმა მიჰმართა ინგლისის დედოფალს, დიდ-კაცობას, მემამულეებს, და არ გავიდა ოთხი-ხუთი წელიწადი, რომ ნატვრა ახდა, ოცნება ხორც-შესხმულ ამბად გადაიქცა. აღმოსავლეთს ლონდონში დაარსდა საერო სასახლე გართობისა, სწორედ ნამდვილი პირი იმ სასახლისა, რომელიც ოცნების შემწეობით ასწერა ზემოხსენებულმა რომანისტმა ვალტერ ბეზანტმა. ამ სასახლეს აზრად აქვს შესძინოს ღარიბს ხალხს ცოდნა, მისცეს განათლება და გაართოს სხვა-და-სხვა სასიამოვნო გასართობით ისინი, ვისაც გართობად მანამდე მხოლოდ ლოთობა, მუშტის კრივი და გარყვნილება მიაჩნდა. სასახლეში წევრად იღებენ უფრო ახალგაზდებს, 20 წლიდამ 26 წლამდე. თითომ უნდა შეიტანოს წელიწადში ხუთი მანეთი საწევრო ფული. ინგლისელები იმ აზრისანი არიან, რომ მუქთი არა უნდა იყოს-რა, რადგან რაც მუქთია, იმას ფასს აღარავინა სდებსო. არა-წევრთაც შეუძლიანთ სიარული სასახლეში და ამისათვის მხოლოდ სულ მცირე გადასახადია დაწესებული. ამ მცირე გადასახადით არა-წევრს შეუძლიან იქონიოს სასახლეში ყოველივე გართობა, რომელიც-კი სასახლეშია შემოღებული. დიდსა და ვრცელს სასახლეში ყოველ დღე იმართება კონცერტები, ლექციები, გამოფენანი, ბალები, საცეკვაო საღამონი, პატარა ყმაწვილების გასართობნი და სხვა ამ გვარნი. სასახლის დიდს წიგნთ-საცავში ყოველ დღე ათასობით იკრიბება ღარიბი და კითხულობენ წიგნებს. სასახლეშივეა გამართული სატეხნიკო და სახელოსნო სკოლები და საღამური კლასები, ყოველ გვარი კლუბი ღარიბთათვის და იმათ დაჯილდოვებისათვის ერთმანეთში. სასახლეშივეა მშვენიერი აბანო და საბანაო, საზამთრო ბაღი და დიდი საგიმნასტიკო დარბაზი. პირველსავე წელიწადს დიდი სარგებლობა მისცა ღარიბს ხალხს, რომელიც ათასობით იკრიბებოდა სასახლეში, ათასობით ყმაწვილებს ზრდიდა იმის სკოლებში და ათასობით წევრები ჰყავდა იმის კლუბებს. ერთი ამისთანა სასახლე კიდევ სხვა არის გამართული ლონდონში. ახლა უნდათ ბევრგან სხვაგანაც დააარსონ ამისთანა სასახლეები.

◆

წვრილი ამბები

ჟურნალისტიკისათვის მანძილი არა არსებობს. წარმოუდგენიათ თუ არა პარიჟში „Jeanne d'ark“-ი, პარიჟელ კორრესპონდენტს „New-Iork Herald“-ისას მაშინვე წარმოდგენის რეცენზია გაუგზავნია ნიუ-იორკსა და ლონდონში 4,000 სიტყვად. ეს რეცენზია მეორე დღეს ნიუ-იორკისა, ლონდონისა და პარიჟის გაზეთებში ერთსა და იმავე დღესა ყოფილა დაბეჭდილი. შუადღის დეპეშითვე „Porte St.-Martin“-ის თეატრის დირექტორს თხოვნა მოსვლია ნიუ-იორკელის დირექტორისაგან, რომ ნება დაგვრთეთ ჩვენც წარმოვადგინოთ ეს პიესაო.

— შექსპირის ერთს გამომკვლეველთაგანს ამას წინად აღმოუჩენია ვინაობა იმ ქალისა, რომელიც შექსპირსა ჰყავს თავისს სონეტებში ნაქებ-ნადიდები. ეს ქალი მის მერი ფილტონი ყოფილა, დედოფალ ელისაბედის სასახლის კარის ქალი, და ხშირად მიდიოდა თურმე ვაჟურად ჩაცმული შექსპირის მფარველ გერბერტთან. ამ გერბერტსავე უძღვნის შექსპირი თავისს სონეტებს. შექსპირს ფილტონი ჰყვარებია, მაგრამ გერბერტს გამოუცლია ხელიდგან. მერის სამი ქმარი ჰყოლია, თუმცა-კი სამი უკანონო შვილიც მისცემია. ამ ქალის სურათი დარჩენილა და ეხლაც ჰკიდიან თურმე ლონდონის ქუჩებში.

— პარიჟის გამოჩენილს მოქანდაკეს ფრიდრიხ ბეერს, შთამომავლობით ავსტრიელს, მარმარილოს დასადნობი საშუალება აღმოუჩენია. დამდნარს მარმარილოს პერიტი ეწოდება. პარიჟში უკვე შეუდგნიათ მთელი საზოგადოება, რომელმაც მარმარილოს დნობის საქმეს უნდა მოჰკიდოს ხელი. საფრანგეთის საერო განათლების მინისტრს დიდი ყურადღება მიუქცევია პერიტისათვის.

— ამ დღეებში ლონდონში გარდაცვლილა პარლამენტის წევრი კენვენი, მალიან განთქმული თავისის მეტის-მეტის დუხჭირობით. კენვენის არც ხელები ჰქონდა, არც ფეხები და ამას გარდა კუზიანიც იყო. ამ სიგონჯის მიუხედავად კენვენიმ თავისის განსაკუთრებულის ჭკუის წყალობით მალიან თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა პარლამენტში თავის ამხანაგთა შორის. ამ კაცს მალიან ლამაზი სახე ჰქონდა, სასიამოვნო ხმა და, თუმცა ძნელად დასაჯერებელია, ქალებიც ეტრფოდნენ. ცხენზედ ჯდომა მალიან უყვარდა და ისეთი უნაგირი ჰქონდა, რომ ადვირები პირში ეჭირა. პირითვე აწერდა ქაღალდებს თავისს გვარს. პარლამენტში მოსამსახურეს მხრებზედ შესმული დაჰყავდა.

— ამას წინად პენსილვანიის ერთს სასამართლოში ახირებული ამბავი მოხდა თურმე. ვიღაც კაცის საქმე ირჩეოდა და ის ბრალი ედებოდა, რომ თავისს ცოლს უდიერად ექცევაო. მოწმეებმაც დაასაბუთეს ეს ცუდი საქციელი ქმრისა და ისეთი ამბები უამბეს მოსამართლეს, რომ აღაშფოთეს. გულ-გამწყრალი მოსამართლე მაშინვე წამოდგა, სერთუკი გაიხადა, მივიდა დამნაშავესთან და რამდენიმე ლაზათიანი სილა შემოჰკრა. ხალხმა ტაში დაუკრა მოსამართლეს. სილების დარტყმას რომ მორჩა, მოსამართლემ ისევ ჩაიცვა სერთუკი და გაამართლა ბრალდებული იმ საფუძვლით, რომ კონსტიტუციის კანონის თანახმად დასჯა არ შეიძლება იმ ბრალდებულისა, რომელიც ერთხელ უკვე იქმნა დასჯილი.

◆

დეპეშა

13 იანვარი

პეტერბურგი. უფროსი ზღვათა უმთავრესის შტაბისა კრემერი დანიშნულ იქმნა შავის ზღვის პრაქტიკულის ესკადრის გამგებლად. ნავის საქმეთა ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელი დიკოვი დაინიშნა ამ ესკადრის ფლაგმანად.

ხარკოვი. სამოსამართლო პალატამ გადაუწყვიტა სათავად აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის ხარკოვის განყოფილების გამგებელს ილიაშევის აყრა განსაკუთრებულ უფლებათა, ჩამორთმევა აზნაურშვილობის ღირსებისა და ჩინებისა და დასახლება ირკუტსკის გუბერნიაში 4 წლის ვადით იმ პირობით, რომ 12 წლის განმავლობაში სხვაგან წასვლის ნება

არა ჰქონდეს. რაც გაუფლანგავს, დამნაშავემ სრულიად უნდა ჰზღოს.

მოსკოვი. გარჩევა იმ საქმისა, რომელიც შეეხება ყალბის საბუთებით ფულის აღებას სახელმწიფო ბანკის მოსკოველ განყოფილებისაგან, შეწყვეტილ იქმნა გუშინ, რადგან ბრალდებული კრასოვსკი ავად გახდა. კრასოვსკის დაულევია საწამლავი. რათა სამართალს თავი არ მოარიდონ, კრასოვსკი და ლუტკოვსკი დაპატიმრებულ იქმნენ. ბრალდებული შვედოვი თავისუფლად არის დატოვებული.

სევასტოპოლი. არხიმანდრიტი პაისი, რომელიც მისიონერად იყო არაბეთში, დაინიშნა წინამძღვრად მონასტრისა ყირიმში.

მადრიდი. პალატამ შეიწყნარა კანონ-პროექტი საყოველთაო კენჭის ყრის შემოღებისა.

ლონდონი. გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა სთქვა: პორტუგალიის სურვილი, რომ მედიატორეთა სამართლით გადასწყდეს ჩვენში ატეხილი დავა, უსაფუძვლოა და ბერლინის ხელშეკრულობას ეწინააღმდეგებაო.

ლონდონი. დუბლინიდამ მოვიდა ამბავი, რომ რაკი აქ დამყარდა მშვიდობიანობა, ირლანდიის მთავრობამ შესაძლოდ სცნო ბევრს საგრაფოში შემცირდეს სისასტიკე განსაკუთრებულის კანონებისაო.

ლონდონი. პორტამ უპასუხა ინგლისს, რომ კრიტის კუნძულის ეხლანდელი ყოფა ნებას არ გვაძლევს შევცვალოთ ხონთქრის ფირმანიო.

14 იანვარი

პეტერბურგი. ვარშავში გარდაიცვალა სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალი ნაგლოვსკი.

„Нов. Время“ იუწყება, რომ საკომერციო ვაჭრობის გამგეობის პროექტი საბოლოოდ იქმნა დამტკიცებულიო.

ოდესსა. დღეს ღამე აქ გარდაიცვალა ამას წინად ვარშავიდგან მოსული გენერალ-ადიუტანტი ფ. ფ. რადეცკი.

მადრიდი. ბრაზილიაში აღმოუჩენიათ ახალი შეთქმულობა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამბობენ, რომ შეთქმულნი ზღვის ჯარის-კაცები არიანო.

ბერლინი. ქვა-ნახშირის მადანში მომუშავე მუშები, რომელიც წარსულს ზაფხულს იმპერატორმა ინახულა, ყრილობაზე იმ აზრს ადგა, რომ სოციალისტები უეჭველად უნდა იქმნენ რეიხსტაგში ამორჩეულნიო. სოციალისტთა დეპუტატებმა გადასწყვიტეს, რომ არეულობასა და პირის შეკვრით მუშაობის აკვეთას წინააღმდეგნი გავუხდეთო. ჯარს ნაბძანები აქვს, ყოველთვის მზად იყავით, რომ დაამშვიდოთ ხალხი, თუ ვინიცობაა ქვა-ნახშირის მადნებში არეულობა რამ მოხდესო.

რეიხსტაგში მესამედ იქმნა წაკითხული კანონი სოციალისტების შესახებ. საიმპერიო კანცლერი რეიხსტაგში არ დაესწრო. ბებელი პროექტის წინააღმდეგ ჰლაპარაკობდა. მინისტრმა გერფურტმა სთქვა, რომ სოციალ-დემოკრატების მეთაურს ხალხის წარმომადგენლად ვერ ჩავთვლით, განსაკუთრებით-კი მუშათა წარმომადგენლადაო. თუ ჩაითვლებიან, ისევ იმ მუშათა წარმომადგენლად, რომელთაც მუშაობა აჰკვეთესო. დასასრულ კანონი უარ-ყოფილ იქმნა.

რომი. გუშინ გენერალი ორფა სულ 30 კილომეტრის მანძილზედ იყო ადუიდგან და იმედი ჰქონდა, რომ ხვალ იქ იტალიის დროშას აღვმართავო.

15 იანვარი

პეტერბურგი. გუშინ საზამთრო სასახლეში იყო პირველი ბალი, რომელსაც მოჰყვა ბოლოს დიდი ვახშამი, 2000 კაცისათვის დამზადებული.

„Нов. Вр.“-ას სწერენ დეპეშით ბუქარესტიდამ, რომ აქ გაიმართა პირველი სავაჭრო გამოფენა და საწყობი რუსეთის სავაჭრო საქონლისა იმ აზრით, რომ ეს საქონელი გავრცელდეს რუმინიაშიო.

„Гражданинъ“-ი ამბობს, რომ შემუშავებული იქმნა პროექტი თევზაობის ბაჟის შემოღებისაო.

„Нов. Вр.“-ას აუწყებენ რომ პოლტავის თავად-აზნაურობა ფიქრობს დაუვიწყარ ჰყოს პოლტავის გამარჯვების 200 წლის იუბილეი ძეგლის აგებით იმპერატორ პეტრე დიდისათვის და დაარსებით სამადლო და საზოგადო დაწესებულებათა. ამისათვის უნდა შეაგროვოს ხელის მოწერით 200,000 მანათზე მეტი თანხა.

ცეცხლის გაჩენის გამო ვარშავის რკინის გზის ვაგონში, გზათა სამინისტრომ დანიშნა სასტიკი გამოძიება. ამ რკინის გზაზე კვლავ დაიწვა პირველ კლასის ვაგონი, მხოლოდ მაშინ როცა მატარებელი პეტერბურგს მივიდა და ვიგონი უკვე ცარიელი იყო.

პეტერბურგის ბირჟა, 12 იანვარი.

	მყიდველ-თა.		გამყიდველ-თა.		გაყიდულ-თა.	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	—	„		„	7	28
ტამოჟნის კუპონები . .	—	„		„	$145\frac{1}{2}$	
მანათიანი ვერცხლის ფული	1	9	—	„	—	„
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	243		—	„	—	„
—მეორისა	229		—	„	—	„
—მესამისა	—	„	—	„	$219\frac{3}{4}$	
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	—	„	—	„	—	„
ქუთაისის ბანკისა . . .	—	„	—	„	—	„
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	—	„	—	„	—	„

მიმოსვლა ცეცხლის გემისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

	მან.	კაპ.
ბოროტი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა	„	40
იავნანამ რა ჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა	„	10
კედლის კალენდარი ჩარკვიანისა	„	40
საყმაწვილო ამბები თ. ასათიანისა, ფასი . .	„	10
სახალხო კალენდარი 1890 წ., ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული	„	10
საერთო კედლის კალენდარი 1890 წ., ექ. ხელაძის გამოცემა . . .	„	25

წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან.	კაპ.
გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა	„	25
მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. . . .	„	60
თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა:	1	„
ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა	1	„
მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“	„	20
ქართული თეატრი, ვ. გუნია.ი	„	40
ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა. . . .	„	15
პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა	„	10
ვაჟა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . .	„	30
სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე)	3	50
Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“. .	„	50

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თვით . . .	10 მ. — კ.	6 თვით . . .	6 მ. — კ.
11 „ . . .	9 „ 50 „	5 „ . . .	5 „ 25 „
10 „ . . .	8 „ 75 „	4 „ . . .	4 „ 70 „
9 „ . . .	8 „ — „	3 „ . . .	3 „ 50 „
8 „ . . .	7 „ 25 „	2 „ . . .	2 „ 50 „
7 „ . . .	6 „ 50 „	1 „ . . .	1 „ 75 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლდება, ან შესწორებულ იქმნება. არ-დაბეჭდილ ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოითხოვეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდათ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების მმართველობამ 24 დეკემბერს 1889 წლ. გადასწყვიტა დანიშნოს ახალ პიესების დასაჯილდოებლად ორი პრემია: 1) ოცი და 2) თორმეტი თუმ. შემდეგის პირობებით.

1) პიესა უნდა იყოს ახალი, ე. ი. ისეთი, რომელიც არა ყოფილა წინად წარმოდგენილი, დაბეჭდილი და ან განსინჯული დრამატიულ საზოგადოებისაგან.

2) დასაჯილდოებლად წარმოდგენილი პიესა ორიგინალური უნდა იყოს. პირველი ჯილდო მიეცემა ყოვლად ორიგინალურ პიესისათვის, მხოლოდ მეორე ჯილდო შეიძლება დანიშნოს იმ პიესისათვისაც, რომლის სიუჟეტი აღებულია უცხო ქვეყნის პიესიდამ, ან მოთხრობიდამ. ამ უკანასკნელს შემთხვევაში საჭიროა, რომ ეს სიუჟეტი შეეფერებოდეს ჩვენსა ზნებას და მწერალმა დაასახელოს ის თხზულება, საიდამაც აიღო სიუჟეტი და სახე.

3) პიესის სიუჟეტი შეიძლება ნამდვილ ცხოვრებიდამაც [illegible] ლი, მხოლოდ ისე-კი, რომ კერძოდ არავინ იქმნას შეურაცხყოფილი და [illegible] ზოგადოებამ არ იცნოს სცენაზე გამოსულ მოქმედ [illegible] პირი.

4) პიესაში ქართული ცხოვრება უნდა იყოს დახატული და უმთავრესნი მოქმედნი პირნი ქართველნი უნდა იყვნენ და არა სხვა ტომისანი. თუ იმერელი, მეგრელი, ხევსური, ან სხვა ისეთი ქართველი იქნება გამოყვანილი, რომელთაც განსაკუთრებული კილო აქვთ, ეს კილო არ უნდა იყოს დამახინჯებული, ან სასაცილოდ აგდებული.

5) პიესას არ უნდა ემჩნეოდეს, რომ უკვე დაწერილ ქართულ ან უცხო ქვეყნის პიესის მიბაძვაა.

6) პიესა შეიძლება კომედია იყოს, დრამა, ტრაგედია, სცენები ისტორიული ან ეხლანდელ დროისა და სხვ., ოპერეტისა ანუ ფარსს გარდა.

7) პიესა უნდა შეიცავდეს 3 მოქმედებაზე არა ნაკლებს და აგრეთვე სასურველია, რომ მასში იყოს გამოყვანილი არა უმეტეს 15 მომქმედ პირისა.

8) სასურველია შიგ ისეთი სცენები იყოს ჩართული, რომ ახალი ძვირფასი დეკორაციები და ტანისამოსი, ან სხვა ამ გვარი ძნელად მოსახერხებელი სასცენო მოწყობილობა არ უნდოდეს.

9) პიესა უნდა გამოეგზავნოს დრამატიულს საზოგადოებას (მის თავმჯდომარის გიორგი თუმანიშვილის სახელობაზე, ტფილისს, ბარიატინსკის ქუჩაზე, სახლი № 8) ორ დაბეჭდილ კონვერტად. ერთში უნდა იყოს პიესა რომელისამე დევიზით, ანუ ფსევდონიმით, მეორეში უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი გვარი ავტორისა და ფსევდონიმი ანუ დევიზი გამოაშკარავებული. მეორე კონვერტი მხოლოდ მაშინ იქნება გასინჯული, თუ პიესა კარგი და ჯილდოს ღირსი აღმოჩნდა.

10) პიესები წარმოდგენილი უნდა იქმნას ავტორისაგან მომავალ პირველ ღვინობისთვემდე.

11) პიესებს დრამატიულ საზოგადოების მმართველობა განიხილავს ამათ თანადასწრებით, რომელთაც მწერლობისა და სცენის მცოდნეთ იცნობს.

12) თუ პიესა ჯილდოს ღირსად იქმნა ცნობილი, მმართველობამ უნდა გამოაცხადოს იმისი ღირსება და ნაკლულევანება: ასევე უნდა მოიქცეს მმართველობა იმ პიესების შესახებაც, რომელთაც თუმცა ჯილდოს ღირსად ვერ იცნობს, მაგრამ იმის ავტორს-კი სასცენო ნიჭს შეამჩნევს.

13) ჯილდოს მიცემის დროს ავტორს ხელწერილი ჩამოერთმევათ რომ ის თავის პიესას ამას იქით იცნობს დრამატიულ საზოგადოების საკუთრებად.

(7—5)

Доз. ценз. Тифлисъ 15-го Января, 1890 г. Типо-Литографія К. I. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.